# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

*(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 27-45-25)*

ქ. ოზურგეთი 28 მარტი 2013 წელი

## განკარგულება №26

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის მიხეილ გოგოტიშვილის საკრებულოს წევრობის უფლებამოსილების ცნობის შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ს 154-ე მუხლის თანახმად:

**მუხლი 1.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ“ №60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 12 მარტის №01/2013 განკარგულების, „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ს 154-ე მუხლისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების მე-13 მუხლის საფუძველზე ცნობილი იქნას მიხეილ გოგოტიშვილი საკრებულოს წევრობის უფლებამოსილება, როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის პეტრე სალუქვაძის ადგილმონაცვლე წევრად.

**მუხლი 2.** განკარგულება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის:ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქ.№14).

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე: ალეკო მამეშვილი**

Created by free version of DocuFreezer